სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 113 (227) | კვირა, 15 ოქტომბერი | 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 12 ოქტომბერს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს ტრანსილვანიის დიდი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ცენტრი ქალაქი ორადეა-მარე (გროსვარდაინი) — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ორადეა-მარეს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ყუბანელმა კაზაკებმა — გენერალ-ლეიტენანტ პლიევის, გენერალ-მაიორ გოლოვსკის, პოლკოვნიკ რევის, პოლკოვნიკ დემჩუკის კავალერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კატკოვის, პოლკოვნიკ მარშევის, პოლკოვნიკ ჟუკოვის, პოლკოვნიკ კოპიენკოს ტანკისტებმა; გენერალ-მაიორ ხემიონოვის, პოლკოვნიკ გორობეცის ჯარებმა; პოლკოვნიკ ფელდმანის, პოლკოვნიკ ტიხომიროვის, პოლკოვნიკ მარჩენკოს არტილერისტებმა; პოდპოლკოვნიკ პოლეტაევის, პოდპოლკოვნიკ კოვალიოვის, მაიორ გუსოვის მესანგრეებმა; მაიორ ჩეკელიოვის, პოდპოლკოვნიკ იაცენკოს, პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ორადეა-მარეს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 12 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ორადეა-მარე.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ორადეა-მარეს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 12 ოქტომბერი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ა. იდენის მოსკოვში ყოფნის გამო

14 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უ. ჩერჩილი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი დაესწრნენ კონცერტს დიდ თეატრში.

ცენტრალურ ლოჟაში აგრეთვე იყვნენ ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი არჩიბალდ კ. კერი, საბჭოთა ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. ჰარიმანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, მ. მ. ლიტვინოვი, ი. მ. მაისკი, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ა. ბრუკი, გენერალი ხ. ლ. ისმეი, ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ბაროუ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, მოსკოვში მყოფი საელჩოებისა და მისიების მეთაურები და ხელმძღვანელი შემადგენლობა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები. ლოჟა მორთული იყო დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. კონცერტის დაწყების წინ დიდი თეატრის ორკესტრმა შეასრულა ბრიტანეთის და საბჭოთა სახელმწიფო ჰიმნები.

თეატრში მყოფნი ხანგრძლივი ტაშით მხურვალედ მიესალმნენ ი. ბ. სტალინს, ბ-ნ უ. ჩერჩილს, ბ-ნ იდენსა და ვ. მ. მოლოტოვს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
14 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

14 ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ რიგის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს აწარმოებდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები რამსავეესი, მედემი, ბალოჟი, პლაკანი, გლიასი, კრამასი, იაუნზემი, ცირული, ზერზე და რკინიგზის სადგური ბალოჟი.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები მაიერი, ოლახსენდიერდი, ფელდრა, ნეპოსი, მინტიუ, ბეტლენი, უნგურაში, ზერლა, ბორშა, მიხეშტი და რკინიგზის სადგურები მაიერი, ოლახსენდიერდი, ილვა-მიკე, ფელდრა, ნეპოსი, კოჩი, ბეტლენი, ზერლა.

ქალაქ ბელგრადის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები კუმოდრაჟი, ბელი პოტოკი, რიპანი, არანდჟელოვაცი, ჩუპრია, პარაჩინი, დელიგრადი, ალექსინაცი.

(დასასრული მე-4 გვ.)

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მასლენიკოვს
არმიის გენერალ ერიომენკოს

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარების პირდაპირი დახმარებით, განავითარეს რა წარმატებითი შეტევა, დღეს, 13 ოქტომბერს, იერიშით დაიკავეს საბჭოთა ლატვიის დედაქალაქი რიგა — გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და თავდაცვის მძლავრი კვანძი ბალტიისპირეთში.

ქალაქ რიგის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ რომანოვსკის, გენერალ-პოლკოვნიკ ბელოვის, გენერალ-ლეიტენანტ ზახვატაევის, გენერალ-ლეიტენანტ როგინსკის, გენერალ-პოლკოვნიკ კაზაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ კოროტკოვის, გენერალ-მაიორ როჟდესტვენსკის, გენერალ-მაიორ ბრანტკალნის ლატვიელთა კორპუსის, გენერალ-მაიორ ნიკიშინის, გენერალ-მაიორ ვერჟბიცკის, გენერალ-მაიორ სიაზოვის, გენერალ-ლეიტენანტ ხალიუზინის, გენერალ-მაიორ ბუნკოვის, გენერალ-მაიორ მარტინჩუკის, პოლკოვნიკ აბაშკინის, გენერალ-ლეიტენანტ ხორუჟენკოს, გენერალ-მაიორ სტუჩენკოს, გენერალ-მაიორ კულეშოვის, გენერალ-მაიორ ვახრამეევის, გენერალ-მაიორ ლიასკინის, გენერალ-მაიორ პოლიაკოვის, გენერალ-მაიორ როდიონოვის, პოლკოვნიკ ნიკონოროვის, პოლკოვნიკ ტესლიას, პოლკოვნიკ მირონენკოს, პოლკოვნიკ პარშუკოვის, პოლკოვნიკ სიმონოვის, პოლკოვნიკ გოროდეცკის, პოლკოვნიკ დუდოროვის, პოლკოვნიკ კუჩენევის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, პოლკოვნიკ ბასტეევის, პოლკოვნიკ ანდონიევის, გენერალ-მაიორ გორიშნის, გენერალ-მაიორ შაფარენკოს, გენერალ-მაიორ კოზინის, გენერალ-მაიორ ბურლაკინის, გენერალ-მაიორ რიბრიკოვის, პოლკოვნიკ მორეცკის, პოლკოვნიკ ლომოვის, პოლკოვნიკ მოროზოვის, პოლკოვნიკ ლაზარევის, გენერალ-მაიორ ისაევის, პოლკოვნიკ კოლობუტინის, გენერალ-მაიორ ანდრიუშჩენკოს, პოლკოვნიკ ჩერნიჩენკოს, გენერალ-მაიორ გრიბოვის, გენერალ-მაიორ გუსაროვის, გენერალ-მაიორ კალნინის, პოლკოვნიკ კოვალენკოს, პოლკოვნიკ კალნინის, პოლკოვნიკ კოზლოვის, პოლკოვნიკ ტიმოშენკოს, პოლკოვნიკ პორფირიევის, პოლკოვნიკ სტარუხინის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კრასნოპევცევის, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნიჩკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ოვჩინიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ეგოროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლევინის, პოლკოვნიკ შლეპინის, არტილერიის გენერალ-მაიორ როგოზინის, არტილერიის გენერალ-მაიორ ხარლამოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კულიკოვის, პოლკოვნიკ პონომარენკოს, პოლკოვნიკ პუმპურის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ კოლოსოვის, პოლკოვნიკ დეგტიარენკოს, პოლკოვნიკ კამორნის, პოდპოლკოვნიკ ეგოროვის, პოლკოვნიკ შკურიხინის, პოლკოვნიკ ივაშჩენკოს არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კოლოსოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შაპოშნიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სახნოს, პოლკოვნიკ ივანოვიჩის, პოლკოვნიკ ოვსიანიკოვის, პოდპოლკოვნიკ მჟაჩიხის, პოდპოლკოვნიკ ფედოროვის, პოდპოლკოვნიკ ხომენკოს, პოდპოლკოვნიკ კისელევის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ნაუმენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ იუხანოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნესტერცევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბუიანსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ დანილოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ლებედევის, პოლკოვნიკ დოდონოვის, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოდპოლკოვნიკ პოდმოგილნის, პოლკოვნიკ პოლუშკოს, პოდპოლკოვნიკ კულიშის, პოდპოლკოვნიკ ზოლოჩევსკის, მაიორ იაკოვლევის, პოდპოლკოვნიკ რასკაზოვის, კაპიტან ნეუიმინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კირჩევსკის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ პილიპეცის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჩეპუროვის, პოლკოვნიკ სერგეევის, პოლკოვნიკ პოშეხონცევის, პოლკოვნიკ როგოვიჩის, პოლკოვნიკ პავშუკის, პოლკოვნიკ მარჩაკის, პოდპოლკოვნიკ სობოლევის, პოდპოლკოვნიკ ანგლიჩანოვის, მაიორ კარპუნენკოს მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სინელნიკოვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ პანინის, პოლკოვნიკ კორპლიაკოვის, პოლკოვნიკ სოკოლოვის, პოდპოლკოვნიკ დრობკისის, პოდპოლკოვნიკ ბრანდელისის, პოდპოლკოვნიკ მეკენზინის, მაიორ კოსოგოკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ რიგის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „რიგის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 13 ოქტომბერს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის მე-3 და მე-2 ფრონტების მამაც ჯარებს, მათ შორის გენერალ-მაიორ ბრანტკალნის ლატვიელთა კორპუსს, რომლებმაც დაიკავეს საბჭოთა ლატვიის დედაქალაქი რიგა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ რიგის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი.

1944 წლის 13 ოქტომბერი.

აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი

დაბადების 75 წლისთავისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო

* *

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი დაიბადა 1869 წლის 13 ოქტომბერს. მას წელს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელი. ვ. ლ. კომაროვი არის ჩვენი დროის დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. იგი თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი შესანიშნავი ბოტანიკოსი, უებრო გეოგრაფი და მებრძოლი დარვინისტია. მას 50 წლის მოღვაწეობის მანძილზე დაწერილი აქვს 270-ზე მეტი შრომა და ამდენივე სხვადასხვა სტატია. მას ეკუთვნის აგრეთვე მრავალი აღმოჩენა ბოტანიკის დარგში.

ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სტალინური პრემიის ლაურეატია.

* *

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ აკადემიკოს ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ღირსშესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომებისათვის, განსაკუთრებით ბოტანიკის დარგში, და საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებების მოწყობის საქმეში დიდმნიშვნელოვანი დამსახურებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 13 ოქტომბერი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მოგესალმებათ თქვენი სახელოვანი 75 წლისთავის დღეს, როგორც გამოჩენილ მეცნიერს და საბჭოთა საზოგადო მოღვაწეს.

თქვენს დიდმნიშვნელოვან როლს მეცნიერების განვითარებაში, განსაკუთრებით ბოტანიკის დარგში, დიდად აფასებენ ჩვენს ქვეყანაში.

სამამულო ომის წლებში თქვენი დაუღალავი მოღვაწეობა ხელს უწყობდა მოწინავე საბჭოთა მეცნიერების ძალთა ორგანიზაციას, მეცნიერებისას, რომელიც თავის ხალხს ემსახურება, სამშობლოს დაცვისა და მტრის განადგურების საქმისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებთ თქვენ, პატივცემულო ვლადიმერ ლეონტის-ძევ, მრავალ წელს ნაყოფიერ მუშაობას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვის დაბადების 75 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ვლადიმერ ლეონტის-ძე კომაროვის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება:

ა) გამოიცეს აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის ბიოგრაფია და მისი რჩეული თხზულებანი;

ბ) დაწესდეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ვ. ლ. კომაროვის სახელობის პრემია 20 ათასი მანეთის რაოდენობით, რომლის მიკუთვნებაც ყოველწლიურად მოხდება საუკეთესო ნაშრომისათვის ბოტანიკის დარგში.

2. დაწესდეს აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის სახელობის სტიპენდიები:

ა) ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტ ბოტანიკოსებისათვის— 4 სტიპენდია თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული;

ბ) მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტ-ბოტანიკოსებისათვის — ორი სტიპენდია თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული;

გ) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის სახელობის ბოტანიკურ ინსტიტუტში ასპირანტ-დოქტორანტებისათვის—ორი სტიპენდია თვეში 1.300 მანეთის რაოდენობით თვითეული.

3. დაევალოს რსფსრ განსახკომს გახსნას მოსკოვში საბავშვო სახლი აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის სახელობისა იმ მეცნიერ მუშაკთა ბავშვებისათვის, რომლებიც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ.

დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების მე-19 სპარტაკიადა

წითელარმიული საბრძოლო სალამი სპარტაკიადის მონაწილეებს!

წითელ არმიაში სპორტსმენი გავხდი

ჯერ კიდევ სკოლაში ამხანაგთა შორის გამოვირჩეოდი სწრაფი სირბილის უნარით, არც ერთ ამხანაგს არ შეეძლო გაესწრო ჩემთვის. მაგრამ რა სირბილი იყო ეს?.. ტექნიკაზე არავითარი წარმოდგენა არა მქონდა. როგორ უნდა მესუნთქა, როგორ მემოძრავებინა ხელ-ფეხი, მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი. გულახდილად რომ ვსთქვა, არასოდეს არ დავფიქრებივარ იმას, რომ საჭირო იყო ყველა ამის ცოდნა.

წითელ არმიაში მოსვლის შემდეგ მეთაურებმა ყურადღება მიაქციეს ამ ჩემს უნარს.

— შენ კარგი სპორტსმენი გამოხვალ,—ხშირად მეუბნებოდნენ უფროსი ამხანაგები,—ოღონდ აუცილებლად რაც შეიძლება მეტი უნდა ივარჯიშო!

მეთაურთა დახმარებამ და რჩევა-დარიგებამ მე მართლაც დიდი სარგებლობა მომიტანეს. მე ვისწავლე არეკნი, სირბილის დროს საკუთარი ძალღონის სწორად განაწილება. ყოველივე ამან ჩემი ვარჯიშის შედეგებზე გავლენა მოახდინა. უბრალოდ რომ ვსთქვა, მე ვისწავლე რბენა უფრო უკეთესად და სწრაფად. ნაწილისა და შემდეგ კი შენაერთის შეჯიბრზე მე და ჩემმა მეგობარმა გოგონამ წითელარმიელმა ჯებრიალოვმა პირველი ადგილი მოვიპოვეთ და საფრონტო სპარტაკიადაში მონაწილეობის ღირსნი გავხდით. ეს ჩემთვის დიდი სასიხარულო ამბავია.

არ ვიცი შევძლებ თუ არა აქაც პირველობის მოპოვებას, რადგან მეტოქენი მაინც ბევრნი არიან. მაგრამ მე მთელ ჩემს ძალ-ღონეს გავიღებ იმისათვის, რომ ავამაღლო და დავიცვა ჩვენი ნაწილის სპორტსმენთა სახელი და ყველას დავანახვო წითელ არმიის რიგებში თუ როგორ განმტკიცდა ჩემი ფიზიკური გამობრძმედილობა, როგორ ამაღლდა ჩემი ტანვარჯიშული ოსტატობა.

სერჟანტი ბარანოვა

აუცილებლად გავიმარჯვოთ

ყოველთვის, როდესაც ჩვენი ფეხბურთელთა გუნდი გადიოდა მოედანზე, ჩვენ ვფიქრობდით იმათ შესახებ, რომელთა ღირსებაც უნდა დაგვეცვა. ჩვენი ნაწილის მებრძოლებს სურთ, რომ ყოველთვის ვიმარჯვებდეთ. და თუ ხანდახან ამას ვერ ვაღწევთ, ამხანაგებისაგან იმდენი საყვედური გვესმის, რომ არ ვიცით რა ვქნათ.

საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევა იშვიათია. 1944 წლის საზაფხულო სეზონში ჩვენმა გუნდმა 18-ჯერ გაიმარჯვა. ეს გამარჯვებანი გვახარებდა არა მარტო ჩვენ, ფეხბურთელებს, არამედ ნაწილის მთელ პირად შემადგენლობასაც.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ უხაროდათ ჩვენს თანამოიარაღეებს, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ შენაერთში პირველობა მოვიპოვეთ და საფრონტო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მივიღეთ. ჩვენ არა მარტო გვილოცავდნენ, გვაცილებდნენ რა ფრონტის უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდებთან შეჯიბრებაზე. ჩვენი ნაწილის მებრძოლები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ამჯერადაც აუცილებლად გავიმარჯვოთ.

გულახდილად უნდა ვსთქვა, ამ მოთხოვნებში ბევრი რამ გაზვიადებული იყო—ყველას უნდა, რომ მისმა გუნდმა მოიპოვოს პირველობა. მაგრამ გუნდები ბევრია, ჩემპიონი კი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. მაშასადამე, დაძაბული ბრძოლა მოგველის. და ჩვენც, ჩვენი ნაწილის 11 წარმომადგენელი მზად ვართ ჩავებათ ამ ბრძოლაში. მტკიცედ გვახსოვს ჩვენი ამხანაგების მოთხოვნა:—აუცილებლად გავიმარჯვოთ.

ლეიტენანტი ე. ჩიჯავაძე.

საბჭოთა კავშირში

მოსკოველ ესტრადის მსახიობთა საფრონტო კონცერტები ოქტომბრის დღეებში

სრულიად-საკავშირო სათეატრო-საკონცერტო გაერთიანება მსახიობთა 20 ბრიგადასა და ანსამბლს გზავნის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის დღესასწაულის დღეებში მოქმედი არმიის ნაწილებისათვის მომსახურების გასაწევად.

ამ ბრიგადების შემადგენლობაში არიან დედაქალაქის ესტრადის საუკეთესო ოსტატები, რომლებიც სადღესასწაულო რეპერტუარით გამოვლენ მებრძოლთა წინაშე. შესრულებული იქნება რუსული ხალხური სიმღერები, რუსული და დასავლეთის კლასიკოსთა ნაწარმოებთა მხატვრული კითხვა, პიესათა ნაწყვეტები, ცეკვა, მუსიკალური და აკრობატული ნომრები. (საკდესი).

ათასი წლის განძის პოვნა

ამ დღეებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირგიზეთის ფილიალის ნაციონალური კულტურის მუზეუმში (ქალაქი ფრუნზე) გამოცხადდა კაგანოვიჩის რაიონის მცხოვრები, სამამულო ომის ინვალიდი ბესარიონოვი. მან მოიტანა 15 ოქროს მონეტა და ოქროსა და ვერცხლის რამდენიმე სამკაული, რაც მას უპოვნია თავის ბოსტანში მუშაობის დროს. განძი იყო თიხის ჭურჭელში, რომელიც დაიმსხვრა პირველი შეხებისთანავე. არქეოლოგთა განმარტებით ნაპოვნი დიდ მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს. ოქროს საგნებს ათასწლიანი ხანდაზმულობა აქვთ. განსაკუთრებით საინტერესოა ქალის ორიგინალური ფორმის თავსაბურავის სამკაული, ბეჭდები, რომელთაც აქვთ შავად მოჩუქურთმებული ყვავილები და ძველბერძნული ორნამენტული სახე. (საკდესი).

ვანდა ვასილევსკაიას ახალი მოთხრობა

ვანდა ვასილევსკაიამ დასწერა ახალი მოთხრობა „Просто любовь". თავის ნაწარმოებში მწერალი გვიჩვენებს საბჭოთა ქალის სულიერ სახეს, მის მამაცობასა და ზნეობრივ ძალას.

ვანდა ვასილევსკაიას ახალი წიგნი დასაბეჭდად არის გადაცემული. მოთხრობის სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობა ნოემბერში გამოუშვებს. (საკდესი).

მზადება კრილოვის იუბილესათვის

გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი აწყობს დიდი რუსი იგავთმწერლის კრილოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალურ სესიას. ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსები გროსმანი, დურილინი, მწერალი დემიან ბედნი ამ სესიაზე გააკეთებენ მოხსენებებს თემებზე: კრილოვის არაკების ხალხურობა, კრილოვის დრამატურგია, 1812 წლის სამამულო ომის ასახვა კრილოვის ნაწარმოებებში. ფაბრიკა-ქარხნების, სკოლების, კინოთეატრების, ჰოსპიტლების, ჯარის ნაწილების მასობრივი აუდიტორიისათვის ინსტიტუტმა დაამუშავა მოხსენებათა თემები. ამ მოხსენებების დროს კრილოვის არაკებს წაიკითხავენ ცნობილი მოსკოველი მსახიობები.

მ. ი. ლერმონტოვი

(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)



დიდი რუსი პოეტი მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი დაიბადა 1814 წლის 15 ოქტომბერს ქ. მოსკოვში. მამამისს, ისეთიც ხელმოკლე იდიოტიას, „გადამდგარ კაპიტანს" იური ლერმონტოვს ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს, რომ გამოც ნიჭიერ ბავშვს, მომავალ პოეტს გულთბილი მშობლიური მზრუნველობით ზრდიდა დიდედა ელიზავეტა არსენიევა.

ლერმონტოვის მთელი მხატვრული შემოქმედება, პოეზია, პროზა, დრამატურგია წარმოადგენს თავისუფლების მგზნებარე სიმღერას, ბრძოლის ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ. მის შემოქმედებაში ვპოულობთ უკეთესი მომავლის რწმენას, თავისუფლების ჟინს, ბრძოლა უსამართლობის, ჩაგვრის, დამონების წინააღმდეგ ლერმონტოვის მთელი მხატვრული შემოქმედების დამახასიათებელია. ლექს „ბოროდინოში" პოეტმა უმღერა რუსი ხალხის მამაცობას, გმირობას, სამშობლოსადმი უდიდეს სიყვარულს.

დიდი რუსი პოეტი თავის შემოქმედებას მჭიდროდ უკავშირებს თავისივე ქვეყნის ცხოვრებას, ხალხის ჭირ-ვარამს, თავის სამშობლოს. სამშობლო უყვარს მთელი არსებით, მთელი გრძნობით უყვარდა. მრავალმნიშვნელოვანია ლერმონტოვის სიტყვები:

„მიყვარს სამშობლო, მაგრამ უცხო,
სხვა სიყვარულით!
და მას ვერ დასძლევს ვერასოდეს
გონება ჩემი.
არც სისხლის ფასად მოპოვებული დიდება
სრული,
არც მყუდროება, ავსებული ამაყი რწმენით,
და არც წარსულის გადმოცემა, ძველი
თქმულება
ჩემს სულს საამურ ოცნებით არ ეხმიურება".

რომანტიკოსი პოეტი ღრმა სიყვარულს გამოხატავდა რუსეთის სოფლისადმი. მის გრძნობით სავსე ხმაში სახიერდებოდა წარმტაცი სურათები:

„სხვებისთვის უცნობ, უცხო სიამით
მე ბედით სავსე კალოს ვუცქერი,
ჩალით გადახურულ ქოხს, დახურულს ჩალით,
სარკმლის ღარაბას ხავს ჩუქურთმებით,
დღესასწაულზე მთვრალი გლეხების
ცეკვა-თამაშში მე მიყვარს გართობა,
სტვენა, ბაკუნი მათი ფეხების,
მთვრალ საუბართან შეერთებული".

ლერმონტოვის მხატვრულ შემოქმედებაში უმშვენიერესი ასახვა ჰპოვა კავკასიამ, სადაც პოეტი ორჯერ იყო გადასახლებული ლექსისათვის — „პოეტის გარდაცვალება" და დუელის გამო. ლერმონტოვის შთამაგონებელ ლექსებში კავკასიის ზვიად მთებს და დიად ბუნების განმაცვიფრებელი მხატვრული სახეები ამკობენ. მისი პოემების დიდი ნაწილის სიუჟეტიც კავკასიის ფონზეა გაშლილი. ლერმონტოვის შემოქმედება კავკასიასთან რაღაც განსაკუთრებული ძაფებით არის დაკავშირებული. დიდი იყო ამ შემოქმედების გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. ლერმონტოვის ლექსებს თარგმნიდნენ გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ლერმონტოვის პოეზიას. შემთხვევითი არ არის, ის რომ ამ ორი გენიალური პოეტის მხატვრულ შემოქმედებათა შორის ჩვენ ვპოულობთ ახლო კავშირს.

ლერმონტოვი 27 წლისა დაიღუპა, იგი დუელში დაეცა თავის ბიცოლის მკვლელი მარტინოვთან. მისი სახე ახლობელი და საყვარელია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, რომელიც სტალინის ბრძენი ხელმძღვანელობით ანადგურებს ჰიტლერელ ბარბაროსებს, იცავს სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და ბედნიერებას, რასაც დიდმა პოეტმა ასე ძლიერად უმღერა თავის გენიალურ შემოქმედებაში.

მეთაურის საიმედო თანაშემწენი

ლეიტენანტ მახარაძის ასეულმა საზაფხულო სწავლების პერიოდში საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. საინსპექტორო შემოწმებაზე ასეულის პირადი შემადგენლობის 70-მა პროცენტმა ფრიადი შეფასება მიიღო, ხოლო დანარჩენმა კარგი.

ასეულის საბრძოლო წარმატებაში დიდი როლი შეასრულა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც მთელი აქტივი დარაზმა მეთაურის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ზაფხულის განმავლობაში ცოტა სიძნელის გადალახვა როდი მოუხდა ასეულს. ხანგრძლივი მარშები, მეცადინეობა მთაგორიან ადგილებში, წყლის ზღუდეების გადალახვა პირადი შემადგენლობის აქტიანობის, მეომრული ოსტატობისა და ჯარისკაცური საზრიანობის გამოცდაც იყო. ყველა ამ ამოცანის დაძლევისას მეთაურს მხარში ედგა პარტორგანიზაცია, როგორც მებრძოლი თანაშემწე და ღასაყრდენი.

— კომუნისტები: ალეიშვილი, ქეზუა, ლორთქიფანიძე, პაპუნაძე, რიჟამაძე ჩემი ნამდვილი მებრძოლი თანაშემწეებია. რა ძნელი ამოცანაც არ უნდა იდგეს ასეულის წინაშე, ამ ამხანაგების დახმარებით წარმატებით დავძლევთ, — ხშირად ამბობს ასეულის მეთაური. რით დაიმსახურეს ამ ამხანაგებმა ასეთი ავტორიტეტი და სიყვარული?

ცხადია, რომ მამაცობის, მეომრული ოსტატობისა და დისციპლინის პირადი მაგალითი კომუნისტის ავტორიტეტის ქვაკუთხედია. რა ფასი აქვს ესაუბრო ამხანაგს, მოუწოდო მას იყოს ფრიადოსანი მებრძოლი, თუ შენ ყოველდღიურად არ იძლევი მეომრული მოვალეობის მამაცურად შესრულების მაგალითს? ეს კარგად ესმით ჩვენი ქვეგანაყოფის კომუნისტებს. თავისთავზე ენერგიული და სისტემატური მუშაობით მათ მალე მოიპოვეს წარმატება საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში და „ფრიადოსანი მეტყვიამფრქვევის" სამკერდე ნიშანიც დაიმსახურეს.

ველად, ყოველი საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, კომუნისტები სიტყვიერი აგიტაციით როდი კმაყოფილდებიან, ისინი პირველნი იძლევიან მისი წარმატებით დაძლევის მაგალითს.

კომუნისტებმა დიდი დახმარება გაუწიეს მეთაურს ჩამორჩენილი ამხანაგების გამოსწორებაში და დისციპლინის განმტკიცებაში. ამ მხრივ მათ მოხერხებულად გამოიყენეს თვითეულ მებრძოლისადმი ინდივიდუალურად მიდგომის მეთოდი.

პარტორგი ს. გორდელაძე

კომორგების ერთდღიან სემინარზე

ამ რამდენიმე დღის წინათ ნ ნაწილში ლეიტენანტ პ. ქორქიას ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კომორგთა ერთდღიანი სემინარი. სემინარზე დამუშავებული იქნა საინტერესო საკითხები — სამუშაო გეგმების შედგენის, კომკავშირული დოკუმენტების, მათ შორის იქმის სწორად გაფორმების, კაზარმებში ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ და სხვ.

საინტერესო იყო კომორგის ამხ. გ. კალატოძის გამოსვლა, იგი შეეხო გაზეთის ხმამაღლა კითხვის საკითხს და ამ საქმეში თავისი გამოცდილება გაუზიარა დამსწრე ამხანაგებს.

— პირველ ხანებში, — სთქვა ამხ. კალატოძემ, — მე ყურადღებას არ ვაქცევდი გაზეთის ხმამაღლა მკითხველთა ინდივიდუალურ შერჩევას, ამიტომ ეს საპასუხისმგებლო დავალება ხშირად ისეთ მებრძოლს ეძლეოდა, რომელსაც გამართულად კითხვაც კი არ ეცოდა, მით უმეტეს, წაკითხულის ახსნა-განმარტება სულ არ შეეძლო. ამან ცუდი შედეგი გამოიღო. უკანასკნელ ხანებში მე შევარჩიე პოლიტიკურად მომზადებული კომკავშირლები, ისინი ისე მომზადებით შედიან გაზეთის ხმამაღლა კითხვას, რომ ახლა ყოველი მებრძოლი იცის ახალი ამბები. გაზეთების ხმამაღლა კითხველები ჩვენს ქვეგანაყოფში აგიტატორებზე ნაკლებ საქმეს არ აკეთებენ.

სემინარზე სხვა ამხანაგებიც გამოვიდნენ, რომლებმაც თავიანთი მუშაობა გააცნეს დამსწრე ამხანაგებს.

სემინარით კომორგები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ.

კომორგი ს. ბალამუთია.

4

პროფ. ქ. ვ. ბაზილევიჩი

(გაგრძელება*)

პეტრე იყო სამხედრო საქმის ნოვატორი. მისი სტრატეგიული და ტაქტიკური ხელოვნება დასავლეთ ევროპის არმიებზე მაღლა იდგა. მან თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე.

მაგრამ პეტრეს მხედართმთავრულ ხელოვნებას თავისთავად არ შეეძლო მოეცა ასეთი ბრწყინვალე შედეგები, რომ იგი არ ყოფილიყო დაფუძნებული რუსი ჯარისკაცის შესანიშნავ საბრძოლო თვისებებზე. პეტრე იყო არა მარტო უდიდესი მხედართმთავარი, არამედ გამოჩენილი ორგანიზატორიც, რუსეთის არმიის შესანიშნავი აღმზრდელი. პეტრეს დროს **რუსეთის არმიაში პირველად იქნა შემოღებული დაკომპლექტება მოსახლეობის სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც დასავლეთში XVIII საუკუნის დასასრულს ვერბოვკების სისტემა იყო.** რუსეთის არმიამ შეინახა ორგანიული კავშირი თავის ხალხთან, და ამაშიც მდგომარეობდა მისი უდიდესი უპირატესობა. პეტრედან დაწყებული გამოჩენილ რუს მხედართმთავრებს, საუკეთესო გენერლებსა და ოფიცრებს შეეძლოთ ელაპარაკათ ჯარისკაცთან მშობლიურ, მისთვის გასაგებ ენაზე. ეს კი შეუძლებელი იყო უცხოეთის არმიებში, განსაკუთრებით პრუსიელთა არმიაში, სადაც, დაქირავებულთ კი არ ელაპარაკებოდნენ, არამედ აწინებდნენ „კაპრალის ჯოხით".

პოლტავის ბრძოლის წინ, პეტრეს მიერ გაცემული ბრძანება („მეომრებო, დადგა დრო, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს სამშობლოს ბედი"...) წარმოადგენს მებრძოლის შეგნებისა და პატრიოტული გრძნობისაკენ მიმართულ დარიგებათა შესანიშნავ ნიმუშს. სწორედ ასე ელაპარაკებოდნენ ჯარებს სუვოროვი, კუტუზოვი, ბაგრატიონი.

რუსეთის არმიის საუკეთესო საბრძოლო თვისებათა დასანერგავად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრეს მიერ გვარდიის შექმნას. ამ გვარდიის ტრადიციებზე იზრდებოდა რუსი მეომრების შემდგომი თაობა.

არმიის ორგანიზაციისა და მასში საბრძოლო თვისებათა დანერგვის სისტემა, რომელიც პეტრემ შემოიღო, გაცილებით უფრო პროგრესიული და ქმედითი იყო, ვიდრე დაქირავებული არმიებისა და პლაცპარადული მუშტრის გზა, რომელსაც დაადგნენ მაშინ დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები და განსაკუთრებით პრუსია.

აღიარებდა რა პეტრეს გერმანელების მიერ ესოდენ რეკლამირებულ პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფრიდრიხისაგან განსხვავებით პეტრე იყო „მართლაც დიდი ადამიანი".

ფრიდრიხმა შემოიღო მექანიკური დისციპლინა, რომელიც ეყრდნობოდა მკაცრი სასჯელის შიშს. ჯარისკაცს, ამბობდა ფრიდრიხი, თავის კაპრალის ჯოხის უფრო უნდა ეშინოდეს, ვიდრე მტრისა. რუსეთის არმიის აღზრდის სისტემაში, რომელიც შემოიღო პეტრემ და განაგრძო სუვოროვმა, დისციპლინა შეერთებული იყო სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებულად შესრულებასთან. ეს სისტემა გაცილებით მაღლა იდგა გერმანულ სისტემაზე. ფრიდრიხის მოთხოვნას „არ იმსჯელოთ", რომელიც ახშობდა ინიციატივასა და განამტკიცებდა შაბლონს, უპირისპირდება სუვოროვული წესი: „თვითეულ მეომარს უნდა ესმოდეს თავისი მანევრი".

თავისი ტაქტიკური ხერხებით ფრიდრიხი აღწევდა სწრაფ და გადამწყვეტ შედეგს ისეთ მტერთან, როგორიც ავსტრიელებია, რომლებსაც აკლდათ სიმტკიცე და მოკლებული იყვნენ ინიციატივას.

ფრიდრიხის გამარჯვებას მაშინ მოეღო ბოლო, როდესაც შვიდწლიან ომში იგი შეხვდა რუსეთის ჯარებს. რუსებთან ოთხ დიდ ბრძოლიდან ფრიდრიხმა წააგო სამი (გროს-ეგერსდორფი, პალციგი, კუნერსდორფი) და მხოლოდ ერთი (ცორნდორფი) დარჩა გადაუწყვეტელი. რით აიხსნება, რომ რუსებთან ბრძოლაში ფრიდრიხს ვერ მოუტანეს გამარჯვება ტაქტიკური ხერხებმა, რომლებიც ესოდენ ეფექტიანი იყო სხვა ჯარებთან ბრძოლებში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსებიც საზაზო წყობას მისდევდნენ. ამ კითხვის პასუხი უნდა ვეძიოთ პეტრეს საბრძოლო სკოლის ტრადიციებში, რომლებიც რუსეთის არმიაში დარჩნენ, თუმცა რუსეთს ბირონოვშჩინის შავბნელ წლებში უამრავი უცხოელი მოაწყდა.

პირველ ყოვლისა რუს რიგით მებრძოლში პრუსიელმა ჯარისკაცმა ჰპოვა განსაკუთრებით მტკიცე მოწინააღმდეგე. ფრიდრიხს უნდა ეღიარებინა, რომ რუსის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე დაქცევა. მაგრამ საქმე მარტო სიმტკიცე როდია, რაც რუსი ჯარისკაცის საყოველთაოდ აღიარებულ ნაციონალურ თვისებას წარმოადგენს. ფრიდრიხის „ირიბულ იერიშს", რომელიც შეერთებული იყო საკავალერიო დარტყმასთან ფლანგებზე, წარმატება არა ჰქონდა იმის გამო, რომ იგი წააწყდა რუსი მეთაურის ინიციატივას, რომელიც მოქმედებდა პეტრე დიდის სამხედრო წესდების მიხედვით. ეს წესდება მოითხოვდა გათვალისწინებული ყოფილიყო ბრძოლის კონკრეტული ვითარება: „ბრმად კი ნუ მიჰყვები წესდებას, ვინაიდან იქ ჩაწერილია წესები, ხოლო დრო და შემთხვევა გათვალისწინებული არ არის".

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

*) დასაწყისი იხ. № 110, 111, 112.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
14 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

ფრონტის სხვა უბნებზე მხედრებმა მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები აწარმოებდა.

13 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 105 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 56 თვითმფრინავი.

* *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები ნავსადგურ კლაიპედასა (მემელი) და გერმანიის ქალაქ ტილზიტზე

13 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოაწყო ნავსადგურ კლაიპედასა (მემელი) და გერმანიის ქალაქ ტილზიტზე.

კლაიპედაზე (მემელი) თავდასხმის დროს ნავსადგურში გერმანელთა 9 ტრანსპორტი იყო. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თვითმფრინავთა შემჩნეულ იქნა მოწინააღმდეგის დიდძალი თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა. დაბომბვის შედეგად 40-ზე მეტი ხანძარი გაჩნდა. განსაკუთრებით დიდი ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა აფეთქებანი, შემჩნეულ იქნა ზამთრის ნავსაყუდელის რაიონში და ნავსადგურის ცენტრალურ ნაწილში, ნავთის ქარხნის, გემსაშენის რაიონში, საწყობებისა და რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე. ხანძრების ალს ჩვენი მფრინავები სამიზნიდან გამობრუნებისას 200-ზე მეტ კილომეტრ მანძილიდან ხედავდნენ.

რკინიგზის სადგურ ტილზიტზე ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულ იქნა ლიანდაგზე მდგომი სარკინიგზო შემადგენლობა. დიდი ხანძრები გაჩნდა მდინარე ნემანის გადასასვლელებთან, აგრეთვე ქალაქის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში. ცეცხლში რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა.

* *

ქალაქ რიგის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგე ცდილობდა საბჭოთა ნაწილები შეეჩერებინა წინასწარ მომზადებულ თავდაცვითი ზღუდესთან მდინარე ტეკავის დასავლეთ ნაპირზე. ხშირი ტყე ძლიერ აფერხებდა ჩვენი ჯარების მოქმედებას. საბჭოთა არტილერისტებმა, თავიანთი ქვემეხები ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობებში გამოიტანეს, დაუშინეს ცეცხლი და პირდაპირი დამიზნებით ჩააჩუმეს მტრის საცეცხლე წერტები. ამასობაში ჩვენმა მსროლელებმა გაიკვლიეს გასავლელები ტყის ხერგილებში და დანაღმულ არეებზე. საბჭოთა მებრძოლები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში და ახლო მანძილზე ბრძოლაში გაჟლიტეს იქ მყოფი გერმანელები. მოწინააღმდეგემ რეზერვები მოიშველია და მთელი რიგი კონტრიერიშები მოიტანა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

ჩვენმა ჯარებმა უკუაგდეს მტერი და გავიდნენ რიგა-იელგავის რკინიგზასთან მთელ მის სივრძეზე. წამოღებულია დიდი და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ პალანგის (ბალტიის ზღვის სანაპიროზე) სამხრეთით მოწინააღმდეგის ორი კიტერი ნაპირს მოუახლოვდა. საბჭოთა მებრძოლები ჩასაფრდნენ და გერმანელებს ნაპირზე გადმოსხდომის შესაძლებლობა მისცეს. ჰიტლერელები ნაპირს რომ დაშორდნენ, მათ გარს შემოერტყა ჩვენი ქვეგანაყოფი. ხანმოკლე შეტაკებაში გაჟლეტილ იქნა მტრის 30 ჯარისკაცი. 17-მა გერმანელმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დანებდა. ორივე კატერი და გერმანელთა მთელი იარაღი ხელთ იგდეს ჩვენმა მებრძოლებმა.

* * *

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ქალაქ ბისტრიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაიბლოკეს გერმანელებისა და უნგრელების წინააღმდეგობა, რომლებიც მდინარეების ილევისა და ნაღ-სამოშის ხეობებზე იყვნენ გამაგრებული. ჩვენმა მებრძოლებმა გადალახეს ეს ბუნებრივი მიჯნები და სწრაფი დარტყმით გაანადგურეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გარნიზონი. ქალაქ ბისტრიცის დასავლეთით საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, მდინარეებთან სომეშულ-მიკთან მიიმწყვდიეს მოწინააღმდეგის დაქსაქსული ჯგუფები. ხანმოკლე ბრძოლაში ჰიტლერელთა ჯგუფები ლიკვიდირებულ იქნა. მარტო ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში დაიღუპა მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 11 ქვემეხი, 30 ტყვიამფრქვევი და ბევრი სხვა სამხედრო მასალა. სხვა უბანზე 6 მეზობელი ნაწილებმა ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპეს მოწინააღმდეგის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი, დაწვეს და დაზიანებულია გერმანელთა 54 ტანკი. გერმანელებმა წავართვით რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი, 5 ჯავშანმანქანა და 4 სარკინიგზო ეშელონი. ტყვედ წამოყვანილია 1,000-მდე გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ ბელგრადის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელები, რომლებიც გამაგრებას ცდილობდნენ, არაერთხელ გადავიდნენ კონტრიერიშებზე. მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა, იუგოსლავიის ნაწილებთან ერთად, სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამ კილომეტრზე მდებარე დასახლებული პუნქტი კუმოდრაჟი. განადგურებულია გერმანიის ხელთა სამოლეცირო დივიზია. ხელთ ვიგდეთ 300 ავტომანქანა, 5 მეხლეხიანი საწყობი და სხვა დიდი. საბჭოთა და იუგოსლავიის ჯარების დარტყმებით მოწინააღმდეგე უკან იხევს და მძიმე ზარალი მიაქვს. გერმანელები დიდძალ საჭურველს ჰყრიან. მტრის ცალკეული ჯგუფები გარშემორტყმული არიან და მათ სპობენ ჩვენი ჯარები.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩაძირეს გერმანელთა ტრანსპორტი. ფლოტის ავიაციამ ტორპედო მოახვედრა და ჩაძირა სამი ტრანსპორტი 16,000 ტონა საერთო წყალწყვით, 2 კატარღა და 1 ბუქსირი.

კავკასიის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლების ადგილებზე

დაბრუნდა საქართველოს ალპური კლუბის მიერ მოწყობილი ექსპედიცია მწერალ ლ. გოთუას მეთაურობით, რომელმაც იმოგზაურა კავკასიის დაცვისათვის წარმოებული გმირული ბრძოლების ადგილები.

ექსპედიცია ქლუხორის უღელტეხილით გადავიდა ტებერდის ხეობაში, გაიარა დომბაის ველი და ავიდა სოფრუჯუს წვერზე (3,785 მეტრი ზღვის დონიდან). აქ ექსპედიციის წევრებმა მიაგნეს გადაიღეს შესანიშნავი პანორამა კავკასიონის მთებისა, ხევისა და ხეობებისა, სადაც აწარმოებდა გადამწყვეტი ბრძოლები კავკასიისათვის.

ექსპედიციამ, რომელმაც ერთი თვე დაჰყო გზაში, 200-მდე კილომეტრი გაიარა, ინახულა მადნის-ხევი.

ექსპედიციამ შეაგროვა მხარეთმცოდნეობის მასალები, ვრცელი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა, შეასრულა 30-ზე მეტი ჩანახატი და გადაიღო 300-ზე მეტი ფოტოსურათი. ექსპედიციის წევრი, ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ნიჟარაძე მუშაობს რაიონის გეოგრაფიულ ლექსიკონზე.

ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალა სპეციალურ კრებულად გამოვა. (საქინფ).

ოქტომბერი 15 კვირა

1809—დაიბადა ცნობილი პოეტი ა. ვ. კოლცოვი (გარდ. 1842 წ. 10 ნოემბერს).

1814—დაიბადა დიდი რუსი პოეტი მ. ი. ლერმონტოვი (დუელში მოკლულ 1841 წ. 27 ივლისს).

ა. ვ. კოლცოვი

საზღვარგარეთ

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საქინფ). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ლეოპოლდის არხის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე ნაიჯის წინ წაიწიეს ბრუგეს რაიონის სამხრეთით, ხოლო სხვაგან არხზე რამდენიმე გადაროვებულია. ზეელანდის ნახევარკუნძულის ვიწრო ნაწილში მოწინააღმდეგემ კვლავ მოიქმნა გაძლიერებული კონტრიერიშები. მოგერიებულია მოწინააღმდეგის კონტრიერიშები სოლოდ შეკრის რაიონში გერტოგენბოშის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს დაახლოებით 1,500 იარდით ოვერლოონის სამხრეთით ძნელად გასავალ ტყიან ადგილზე და სძლიეს მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას.

მოკავშირეთა ჯარები ხელჩართ მიიწევენ აახენის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც აწარმოებს ბრძოლები თითოეული სახლისათვის.

აახენის ჩრდილოეთით, ბარდენბერგის რაიონში, გერმანელებმა ტანკების დახმარებით გაძლიერეს მოწოლა, მაგრამ მათი რამდენიმე კონტრიერიში მოგერიებულ იქნა მოკავშირეთა თვითმფრინავებითა და არტილერიით.

მოკავშირეთა ავიაცია ბომბავდა ხიდებს მაინცის (კობლენცის დასავლეთით) და ეისკირხენში, გამანადგურებელი ბომბდამშენები განაგრძობდნენ იერიშების მიტანას სარკინიგზო ობიექტებზე დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა პუნქტში.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა დუისბურგზე

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საქინფ). როგორც ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, ინგლისის 1,000 მძიმე ბომბდამშენი თავს დაესხა დუისბურგის სარკინიგზო ობიექტებს, შიდა ნავსადგურსა და სამრეწველო საწარმოებს. ქალაქს დაუყარეს 4,5 ათას ტონაზე მეტი ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბები. წინასწარი ცნობების თანახმად, დაბომბვამ დიდი ზარალი გამოიწვია.

ამხ. ს. ქავთარაძის საუბარი გაზეთ „ეთელაათის" რედაქტორთან

თეირანი, 9 ოქტომბერი. (საქინფ). გაზეთმა „ეთელაათმა" გამოაქვეყნა თავისი რედაქტორის საუბარი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ქავთარაძესთან. საუბარი შედგა 4 ოქტომბერს.

ამხ. ს. ქავთარაძემ განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა ირანში როგორც მთავრობის კომისიის მეთაური, კომისიის თან ახლავან სპეციალისტი გეოლოგები იმ საკითხზე მოსალაპარაკებლად, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირისათვის ჩრდილოეთ ირანის ნავთის კონცესიის გადაცემას, და აგრეთვე ჩრდილოეთ ირანში ნავთის საბადოთა გასაცნობად. სპეციალისტებმა შეასრულეს თავიანთი სამუშაო, რომლის შედეგებიც უკვე ეცნობა საბჭოთა მთავრობას. საბჭოთა მთავრობამ ამხ. ს. ქავთარაძის კომისიას მიანდო წარუდგინოს ირანის მთავრობას პროექტი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირს მიეცეს ჩრდილოეთ ირანში ნავთის ძიებისა და ექსპლოატაციის უფლება.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, — განაცხადა ამხ. ქავთარაძემ, — რომ ნავთის ძიებობა ჩრდილოეთ ირანში, აგრეთვე ირანელი მუშებისა და ინჟინრების შრომა საბჭოთა პარტნიორებთან ინდუსტრიისთან შეხამებით კარგ შედეგებს გამოიღებს ორივე ქვეყნისათვის და ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ ირანის ინდუსტრიალიზაციას. საბჭოთა მთავრობა თვლის, რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრული მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ამხ. ქავთარაძემ იმედი გამოთქვა, რომ ეს ორივე ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე წარმატებით გადაწყდება.

შემდეგ „ეთელაათი" სწერს, რომ საუბრის დროს ქავთარაძემ მაღალი შეფასება მისცა ირანელი ხალხის თანამშრომლობასა და თავდადებას მოკავშირეებისათვის და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში და განაცხადა, რომ ეს თანამშრომლობა და დახმარება მომავალშიც შეუწყობს ხელს ურთიერთობის განმტკიცებას ორ მეგობრულ და მეზობელ ქვეყანას შორის.

საბჭოთა კავშირი, — განაცხადა ამხ. ქავთარაძემ, — დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირსა და ირანს შორის ეკონომიური და, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას, რაც ხელსაყრელი და სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის, დაფუძნებულია მათი უფლებებისა და ინტერესების ურთიერთ დაცვაზე და განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ირანის ეკონომიკის პროგრესსა და განმტკიცებას.

„ეთელაათი" კომენტარს უკეთებს ამხ. ქავთარაძის ამ განცხადებას და სწერს: ირანს რომ თვითონ შეეძლოს თავისი ნავთის სიმდიდრეთა ექსპლოატაციის მოწყობა, მაშინ უცხოელებისათვის კონცესიების გადაცემა ზედმეტი იქნებოდა. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მთავრობამ და მეჯლისმა ყურადღებით უნდა განიხილონ წარმოდგენილი პირობები, და, თუ ისინი სცნობენ, რომ საბჭოთა კომპანიის პირობები ნავთის ექსპლოატაციის შესახებ ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და საბჭოთა პირობები ჩრდილოეთის ნავთის შესახებ სასარგებლოა, ხელსაყრელია და თუნდაც ზიანს არ აყენებენ ირანის ნაციონალურ უფლებებს, მაშინ რატომ არ უნდა მიეცეთ კონცესია, რომლებიც ხელს შეუწყობენ ერთმანეთის, სილატაკისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლას. ხოლო თუ წარმოდგენილი პირობები მიუღებელი და ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო აღმოჩნდება, მაშინ მთავრობამ და მეჯლისმა აშკარად უნდა განაცხადონ ეს და საქმის გადაწყვეტა დიდხნით არ უნდა გადადონ.

ისწავლე რუსული ენა

ГРАНАТА — გრანატი
ЧАСТИ ГРАНАТЫ — გრანატის ნაწილები

Боевая пружина —	ნემსკავი
Боевая скоба —	საცეცხლე კავი
Виладыш —	სამაგრი
Внутренняя трубка рукоятки -	სახელურის შიდა მილი
Воспламеняющий механизм —	ამაალებელი მექანიზმი
Дверца —	კარი
Двуперая пружинка —	ორფრთიანი ზამბარა
Детонатор —	დეტონატორი
Дистанционная трубочка —	სადისტანციო მილაკი
Дистанционная часть —	სადისტანციო ნაწილი
Дистанционный состав —	სადისტანციო შედგენილობა
Дополнительный детонатор -	დამატებითი დეტონატორი
Дополнительный оборонительный чехол	დამატებითი მოგერიებითი პერანგი
Жолоб —	ღარი
Задвижка запала —	ფალიის საკვალთი
Задвижка чехла —	პერანგის საკვალთი
Запал —	ფალია
Капсюль-воспламенитель —	ფისტონ-ამაალებელი
Капсюль-детонатор —	ფისტონ-დეტონატორი
Кольцо —	რგოლი
Корпус —	კორპუსი

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარახველი